

არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნის თავისებურებანი

თორნიკე ლიპარტაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანტონ ქელბაქიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თორნიკე ლიპარტაშვილი

20.06.2020

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი სასჯელის დანიშვნის თავისებურებანი და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები. ასევე წარმოდგენილია ამ მხრივ არსებული საერთაშორისო დოკუმენტების ანალიზი, რომლებიც მიმართულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვისკენ.

ნაშრომში გაანალიზებულია არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნის საკითხებს არეგულირებს. შეფასებულია რამდენად მორგებულია არსებული საკანონმდებლო მექანიზმები არასრულწლოვნის ინტერესებზე, იცავს თუ არა მათ საუკეთესო ინტერესებს. განხილულია, არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლები და მისი მნიშვნელობა სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას. ყურადღებაა გამახვილებული არასაკატიმრო და აღდგენითი მართმსაჯულების მექანიზმებზე. შეფასებულია მათი მნიშვნელობა, თუ რამდენად უზრუნველყოფს საკანონმდებლო ლიბერალური მიდგომა არასრულწლოვნის მომავლის სწორად წარმართვას და საზოგადოებაში ინტეგრაციას. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია, სასჯელის დანიშვნის დროს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებაზე და მის როლზე მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას.

დასკვნაში წარმოდგენილია ავტორისეული შეფასებები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. წარმოდგენილია რა აჩვენა კვლევამ. რამდენად უწყობს ხელს არსებული მექანიზმები არასრულწლოვნის გამოსწორებას, ხელახალ აღზრდას. საუბარია რამდენად იქნა მიღწეული კვლევის მიზნები. წარმოდგენილია სამომავლო პერსპექტივები.

საძიებო სიტყვები: თავისებურება; ეფექტურობა; უზრუნვეყოფა

Abstract

The thesis reviews the peculiarities of sentencing a juvenile and related legal issues. An analysis of international documents in this regard, aimed at protecting the best interests of juveniles, is also presented.

The thesis analyzes existing legislative regulations that control the issue of sentencing juveniles. It is assessed whether the existing legislative mechanisms are tailored to the interests of the juvenile and whether it protects their best interests. The individual characteristics of the juvenile and its importance in sentencing by the court are discussed. The focus is on non-custodial and restorative justice mechanisms. Their importance is assessed by the extent to which the legislative and liberal approach ensures the proper management of the juvenile's future and its integration into society. The thesis focuses on the preparation of an individual assessment report at the time of sentencing and its role in a judge's decision.

The thesis presents the author's assessments regarding the discussed issues. Presented is what the study has shown. To what extent the existing mechanisms help to correct and re-educate the juvenile. This is about how these research objectives have been achieved. Future prospects have been presented.

Key thematic search terms: Peculiarity; Efficiency; Ensuring